

კომპიუტერული ტექნოლოგიების მნიშვნელობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ მასობრივი კომუნიკაციების განვითარებაში

ბაბუნაშვილი ანზორი – მოწვეული სპეციალისტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

About Some Aspects of Importance of Computer Technologies in the Development of Mass Communication

Babunashvili Anzori – Invited specialist, Department of Information Technologies, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Abstract

Introduction and aim: Revolutionary changes have provoked to the development of internet and computer technology in the development of mass communication. Internet- in civilization development history is the fastest way to communicate - the number of its users increase with stunning pace.

The humanity has created different methods and means to deliver information, the first was language and speech forms, there has been a need to create special means of dissemination of information and people, who owned these means, the most influential people became in society, they gave way the formation of social force in society.

Research methodology: There are many parameters that evaluate social media activity. Different channels has own evaluation analytical system (for example: Facebook, Insights, YouTube Views, Google Alerts and others). However, there is a paid computer program, which provides a comprehensive method to the monitoring of the companies.

The source of information dissemination about the company 67% of Georgian companies considers the social media. The assessment of the results of online polls is carried out by evaluation and electronic system, which represents an expert system and gives impartial results

Results and implications: The modern stage of information technology development is characterized as global world networks, as well as the development of artificial intelligence systems and perhaps logically will be completed by a global information society building. That's why more often appear firms and organizations with flexible and decentralized structures, which field of activity is service or information or automated production, which is based on computer technologies.

Development of the technology is reflected in the power and management system, the use of new technologies also leads to a management ring, as well as the reduction of administrative -technical personnel and as a result decreasing vertical control level. At the same time electronic communication systems provide a wider range of consciousness unlike traditional methods, which allows them to react to changes and quickly resolve tactical issues.

Conclusion: The new methods of communication, also flexible industrial technologies allow to fully use market opportunities, which finally got the name of the "electronic market". New information technologies by using computer systems make significant progress in the field of mass communication, in the perspective, they will charge even more roles, and they will combine more functions, which will be the essential condition for advancement and development of this sphere.

Keywords: Communication, information, technology, data, processes, Settings.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: მასობრივი კომუნიკაციების განვითარებაში რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ. ინტერნეტი-ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში კომუნიკაციის ყველაზე სწრაფი საშუალებაა-მისი მომხმარებელთა რიცხვი განსაკვიფრებელი ტემპებით იზრდება.

ინფორმაციის გადასაცემად კაცობრიობა ქმნიდა სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს, საწყისი იყო ენა და მეტყველების ფორმები, დადგა საჭიროება შექმნილიყო ინფორმაციის გავრცელების სპეციალური საშუალებები და ადამიანები, რომლებიც ფლობდნენ ამ საშუალებებს, გახდნენ საზოგადოების ყველაზე გავლენიანი პირები, მათ დასაბამი მისცეს სოციალური ძალის წარმოქმნას საზოგადოებაში.

კვლევის მეთოდოლოგია: არსებობს მრავალი პარამეტრი, რომელიც სოციალურ მედია აქტივობას აფასებს. შეფასების საკუთარი ანალიტიკური სისტემა გააჩნია სხვადასხვა არხს, (მაგალითად, Facebook Insights-ს, YouTube Views-ს, Google Alerts-სა და სხვ.) თუმცა არსებობს ფასიანი კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც კომპანიების მონიტორინგის ამომწურავ საშუალებას იძლევა.

ქართული კომპანიების 67% სწორედ სოციალურ მედიას თვლის კომპანიის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წყაროდ. ონლაინ გამოკითხვების შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების ასევე ელექტრონული სისტემით, რომელიც ექსპერტულ სისტემას წარმოადგენს და იძლევა მიუკერძოებელ შედეგებს.

შედეგები და გამოყენება: საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება როგორც გლობალური მსოფლიო ქსელების, ისევე ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებით და ალბათ ლოგიკურად დასრულდება გლობალური ინფორმაციული საზოგადოების აშენებით. ამიტომ სულ უფრო ხშირად ჩნდებიან მოქნილი და დეცენტრალიზებული სტრუქტურის მქონე ფირმები და ორგანიზაციები, რომელთა მოდელის სფეროა მომსახურება ან ინფორმაცია, ან ავტომატიზირებული წარმოება, რომელიც დამყარებულია კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე.

ტექნოლოგიის განვითარება აისახება ძალაუფლებისა და მართვის სისტემაზე, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას მიყვაროთ ასევე მართვის რგოლის, ასევე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შემცირებისაკენ და როგორც შედეგი-ვერტიკალური კონტროლის დონის შემცირებისაკენ. ამავდროულად კომუნიკაციის ელექტრონული სისტემები უზრუნველყოფენ უფრო ფართო გაცნობიერების მექანიზმს ტრადიციული მეთოდებისაგან განსხვავებით, რაც საშუალებას აძლევს მათ ოპერატიული რეაგირება მოახდინონ ცვლილებებზე და სწრაფად გადაწყვიტონ ტაქტიკური საკითხები.

დასკვნა: კომუნიკაციის ახალი მეთოდები, ასევე მოქნილი სამრეწველო ტექნოლოგიები საშუალებას იძლევიან სრულად გამოიყენონ ბაზრის შესაძლებლობები, რამაც საბოლოოდ მიიღო „ელექტრონული ბაზრის“ სახელწოდება. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები კომპიუტერული სისტემების გამოყენებით მნიშვნელოვან პროგრესს განაპირობებს მასობრივი კომუნიკაციების სფეროში, პერსპექტივაში მათ კიდევ უფრო მეტი როლი დაეკისრებათ, მეტ ფუნქციებს შეითავსებენ, რაც იქნება ამ სფეროს წინსვლისა და განვითარების აუცილებელი პირობა.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, ინფორმაცია, ტექნოლოგია, მონაცემები, პროცესები, პარამეტრები

მასობრივი კომუნიკაციების განვითარებაში რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ. ინტერნეტი-ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში კომუნიკაციის ყველაზე სწრაფი საშუალებაა-მისი მომხმარებელთა რიცხვი განსაცვიფრებელი ტემპებით იზრდება, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკაში არანაკლები გარდაქმნის ეფექტს, ვიდრე სამრეწველო რევოლუციამ გამოიწვია.

ინფორმაციის გადასაცემად კაცობრიობა ქმნიდა სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს, საწყისი იყო ენა და მეტყველების ფორმები და პირველ ეტაპზე ეს საკმარისი იყო, შემდგომ ეტაპზე საჭირო იყო „გამამლიერებლები“ ინფორმაციის დიდ მანძილზე გადასაცემად და ამისათვის გამოიყენებოდა მალემსრობები, დაფდაფები, კოცონი და სხვა საშუალებები გაფრთხილების მიზნით, სრულყოფის შემდგომი ეტაპი იყო დამწერლობის წარმოშობა და ბეჭდვის საშუალება-რაც უდავოდ იყო დიდი ნახტომი ამ სფეროში. განვითარების შემდგომ ეტაპებზე ინფორმაცია გახდა სხვადასხვა სოციალური სტრუქტურების (რელიგია, ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება, წარმოება) ფუნქციონალური დატვირთვის მატარებელი, და დადგა საჭიროება შექმნილიყო ინფორმაციის გავრცელების სპეციალური საშუალებები და ადამიანები, რომლებიც ფლობდნენ ამ საშუალებებს, გახდნენ საზოგადოების ყველაზე გავლენიანი პირები, მათ დასაბამი მისცეს სოციალური ძალის წარმოქმნას საზოგადოებაში.

თანდათანობით საზოგადოებაში გაჩნდა ახალი საინფორმაციო არხებისა მოთხოვნილება, რომლებიც დააკმაყოფილებდა მათ ინტერესს აქციებზე, კაპიტალზე და ა.შ. შეიქმნა პირველი გაზეთები, რომელიც მოსახლეობას აძლევდა საშუალებას საქმის კურსში ყოფილიყო მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამ მომენტიდან უკვე ინფორმაციულმა საშუალებებმა აიღეს კურსი საზოგადოების გლობალურ ტრანსფორმაციაზე, პარალელურად ვითარდება ტექნიკური საშუალებები, რამაც დასაბამი მისცა მეოცე საუკუნეში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ამცირებს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ფიზიკური კონტაქტის აუცილებლობას და საშუალება აძლევს მომსახურების ზოგიერთ სახეობას, რომლებსაც უწინ ვერ ყიდდნენ ბაზარზე, გახდნენ ვაჭრობის ობიექტი. აგრეთვე მნიშვნელოვნად მცირდება საქონლისა და მომსახურების ბრუნვის დანახარჯები. საინფორმაციო ტექნოლოგიები გახდა რევოლუციური ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა ბიზნესის გაძლიერების მეთოდებში. ისინი შეუცვლელია ბაზრის ყველა სუბიექტის კავშირისა და კომუნიკაციისათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ტერმინში იგულისხმება გამოთვლითი სისტემების პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა, აგრეთვე ინფორმაციის აკრების, შენახვის, დამუშავების, გადაცემის და გამოყენების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობაც კონკრეტულ საგნობრივ არეალში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ცნება თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა მდგენელებს: აპარატურულ ალგორითმებს, ოპერაციულ სისტემებს, პროგრამირების ენებს და დანართების დამუშავების საშუალებებს, ქსელურ ტექნოლოგიებს, მონაცემთა ბაზებს, რომელთა განვითარებამ და სრულყოფამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ბიზნესის წარმატებები. მათი დახმარებით მოხდა სერიოზული წინსვლა სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ: 1. გლობალური კომპიუტერული ქსელის საყოველთაო გავრცელება; 2. კომპანიების ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციის აპარატურული და პროგრამული კომპლექსების შექმნა; 3. საინფორმაციო სისტემების სტანდარტიზაციისა და ურთიერთკავშირის საშუალებების განვითარება. ინტერნეტი თავის თავში გააერთიანა მისი წინამორბედების დადებითი შტრიხები, ტელევიზიის თვალსაჩინოება, რადიოს ოპერატიულობა, უკვე მიღებულ ინფორმაციაზე ხელახალი მიბრუნების შესაძლებლობა და პრესის მრავალჯერადი გააზრების ეფექტი. თანაც ინტერნეტის, როგორც პლანეტის მთავარი საკომუნიკაციო არხის ჩამოყალიბების მთავარი მიზეზია სწორედ ის, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობები თავმოყრილია ერთ კომუნიკატიურ არხზე. ინტერნეტი თავის წინამორბედებზე გაცილებით სწრაფად ვრცელდება ხალხში, პრესამ მოიპოვა თავისი აუდიტორია საუკუნოდ, ტელევიზიამ რამდენიმე წელიწადში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძველი არხები აღარ იარსებებენ, ეს იმით აიხსნება რომ აბსოლუტურად სრულყოფილი საკომუნიკაციო საშუალებები არ იარსებებენ, თუ გავანალიზებთ იმას რაც ხდება, შეიძლება გაგვიკვირდეს ძალიან ბევრი მოვლენა და ფაქტი: ხელოვნური თანამგზავრებმა მნიშვნელოვნად შეამცირა დიდ მანძილზე ინფორმაციის გადაცემის ღირებულება, ინჟინრები ლაპარაკობენ „მანძილისაგან დამოუკიდებელ“ კავშირზე, კომპიუტერის სიმძლავრე მკვეთრად გაიზარდა, ხოლო ფასი იმდენად დაეცა, რომ ძნელად წარმოსადგენია. თუ მხედველობაში მივიღებთ მინაბოჭკოვან ოპტიკას და სხვა ნოვატორულ ტექნოლოგიებს, თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ წინ გვაქვს ინფორმაციის ერთეულის, კომპიუტერული ოპერაციის, სიგნალის გადაცემის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფასდაკლება. კომპიუტერული კომუნიკაციები სულ უფრო ღრმად იჭრებიან თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა სფეროებში, როგორცაა ბიზნესი, ფინანსები, მასიური საინფორმაციო საშუალებები, განათლება და მეცნიერება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება როგორც გლობალური მსოფლიო ქსელების, ისევე ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებით და ალბათ ლოგიკურად დასრულდება გლობალური ინფორმაციული საზოგადოების აშენებით.

ინფორმაციული საზოგადოება - საზოგადოებაა, რომლის უმრავლესობაც დაკავებულია ინფორმაციის წარმოებით, შენახვით, გადამუშავებით და რეალიზაციით, განსაკუთრებით მისი უმაღლესი ფორმის - ცოდნის გადამუშავებით. საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს არა მატერიალური, არამედ საინფორმაციო პროდუქტის შექმნა. მატერიალური პროდუქტი უნდა გახდეს ინფორმაციულად ტევადი, რაც გულისხმობს ინოვაციის, დიზაინისა და მარკეტინგის წილის გაზრდას მის ღირებულებაში.

ინფორმაციული საზოგადოება - საზოგადოებაა, რომელშიც ჭარბადაა მაღალხარისხოვანი ინფორმაცია, ასევე არსებობს ყველანაირი საშუალება მისი შენახვისთვის, განაწილებისა და გამოყენებისა. ინფორმაცია ძალიან სწრაფად ვრცელდება დაინტერესებული ხალხის მოთხოვნით, მისი ღირებულება იმდენად დაბალია, რომ იგი ხელმისაწვდომია ყველასათვის.

საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლა მოითხოვს სიმძიმის ცენტრის გადატანას ეკონომიკაში მატერიალური საქონლიდან მომსახურების გაწევაზე, რაც თავისთავად გამოიწვევს ნედლეულისა და ენერჯის მოპოვების, გადამუშავების და ხარჯვის შემცირებას.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დამახასიათებელი ნიშნებია:

1. მონაცემთა ციფრული გაცვლის სტანდარტების სტრუქტურირება;
2. კომპიუტერული შენახვის და საჭირო სახით ინფორმაციის წარმოდგენა;
3. პრაქტიკულად უსაზღვრო მანძილზე ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის გადაცემა;

დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ინფორმაციული ტექნოლოგიები ასე დავახასიათოთ:

- მომხმარებლის მუშაობა მონაცემთა მანიპულირების რეჟიმში, მან არ უნდა იცოდეს და ახსოვდეს, არამედ უნდა ხედავდეს და მოქმედებდეს;
- ინფორმაციის გატარების ყველა ეტაპზე გამჭოლი ინფორმაციული მხარდაჭერა, რომელიც ითვალისწინებს შეტანის, ძებნის, ასახვის, განახლებისა და დაცვის ერთიან ფორმას;
- დოკუმენტის უქალაქო დამუშავების პროცესი;
- ამოცანის ამოხსნის ინტერაქტიული (დიალოგური) რეჟიმი, მომხმარებლის ფართო უფლებებით;
- მონაცემთა ბაზებზე კოლექტიური მუშაობა პერსონალურ კომპიუტერთა იმ ჯგუფში, რომლებიც გაერთიანებული არიან კომუნიკაციის საშუალებებით;
- ინფორმაციის მიწოდების ფორმისა და მეთოდების ადაპტური დამუშავება ამოცანის ამოხსნის პროცესში;

საკომუნიკაციო პროცესების სირთულის ხარისხის ამაღლება, გლობალიზაცია, ინოვაციების მოცულობისა და ტემპის ზრდა, მოლაპარაკების როლის ზრდა შიგა და ორგანიზაციათშორის ურთიერთობებში, წარმოების მთლიან მოცულობაში მომსახურების წილის ზრდას მივეყვართ ორგანიზაციის ახალი ფორმების გავრცელებასთან, ამიტომ სულ უფრო ხშირად ჩნდებიან მოქნილი და დეცენტრალიზებული სტრუქტურის მქონე ფირმები და ორგანიზაციები, რომელთა მოღვაწეობის სფეროა მომსახურება ან ინფორმაცია, ან ავტომატიზირებული წარმოება, რომელიც დამყარებულია კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე.

ტექნოლოგიის განვითარება აისახება ძალაუფლებისა და მართვის სისტემაზე, თანამედროვე კომპიუტერული სისტემები თავისკენ „ითრევენ“ ინფორმაციული ნაკადებისა და პერსონალის მუშაობაში კოორდინაციის მნიშვნელოვან ფუნქციებს, ისინი საშუალებას იძლევიან:

- ა) ინფორმაციის შედარებით იაფი შენახვის, აღდგენის და გადამუშავების.
- ბ) გარე წყაროებიდან კონკრეტული ინფორმაციის დროული მიღების და გამოყენების;
- გ) კონკრეტული ამოცანისათვის საჭირო ინფორმაციის სწრაფი გამოყენების;
- დ) ექსპერტების შეფასების კომპაქტური შენახვის და ოპერატიული გამოყენების, მათ საფუძველზე მართვის მოდელების შექმნის საშუალებებს.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას მივყავართ ასევე მართვის რგოლის, ასევე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შემცირებისაკენ და როგორც შედეგი-ვერტიკალური კონტროლის დონის შემცირებისაკენ. ამავდროულად კომუნიკაციის ელექტრონული სისტემები უზრუნველყოფენ უფრო ფართო გაცნობიერების მექანიზმს ტრადიციული მეთოდებისაგან განსხვავებით, რაც საშუალებას აძლევს მათ ოპერატიული რეაგირება მოახდინონ ცვლილებებზე და სწრაფად გადაწყვიტონ ტაქტიკური საკითხები.

კომუნიკაციის ახალი მეთოდები, ასევე მოქნილი სამრეწველო ტექნოლოგიები საშუალებას იძლევიან სრულად გამოიყენონ ბაზრის შესაძლებლობები, რამაც საბოლოოდ მიიღო „ელექტრონული ბაზრის“ სახელწოდება.

შედეგებს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლის შესახებ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში იძლევა სოციალურ მედიაში ჩატარებული ონლაინ გამოკითხვები და სტატისტიკა.

სოციალური ქსელი მრავლის მომცველი პლატფორმაა. სოციალური მედია ეს არის ადგილი, სადაც მომხმარებლები კომპანიებს ეკონტაქტებიან, უზიარებენ მათ მოსაზრებებს სხვადასხვა პროდუქტისა და სერვისის შესახებ, უსმენენ სხვა მომხმარებლებს და კითხულობენ მათ კომენტარებს. კომპანია თავის მხრივ ახდენს ინვესტირებას სოციალურ ქსელში რეკლამასა თუ ქსელურ აპლიკაციებზე, რაც ტრადიციულ მედია საშუალებებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს.

არსებობს მრავალი პარამეტრი, რომელიც სოციალურ მედია აქტივობას აფასებს. შეფასების საკუთარი ანალიტიკური სისტემა გააჩნია სხვადასხვა არხს, (მაგალითად, Facebook Insights-ს, YouTube Views-ს, Google Alerts-სა და სხვ.) თუმცა არსებობს ფასიანი კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც კომპანიების მონიტორინგის ამომწურავ საშუალებას იძლევა.

ქართული კომპანიების 67% სწორედ სოციალურ მედიას თვლის კომპანიის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წყაროდ. ონლაინ გამოკითხვების შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების ასევე ელექტრონული სისტემით, რომელიც ექსპერტულ სისტემას წარმოადგენს და იძლევა მიუკერძოებელ შედეგებს.

ამრიგად, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები კომპიუტერული სისტემების გამოყენებით მნიშვნელოვან პროგრესს განაპირობებს მასობრივი კომუნიკაციების სფეროში, პერსპექტივაში მათ კიდევ უფრო მეტი როლი დაეკისრებათ, მეტ ფუნქციებს შეითავსებენ, რაც იქნება ამ სფეროს წინსვლისა და განვითარების აუცილებელი პირობა.

გამოყენებული წყაროები

- [1] Тельнова Ю.Ф., Информационные системы и технологии.. – Юнити-Дана, 2012
- [2] Бройдо В., Ильина О. Вычислительные системы, сети и телекоммуникации: Учебник для вузов. – СПб.: Питер, 2011.
- [3] Макарова Н.В, Информатика: Учебник.– 3-е перераб. изд. – М.: Финансы и статистика, 2009, 768 с.
- [4] Душин В.К. Теоретические основы информационных процессов и систем: Учебник. – Дашков и К, 2014
- [5] Бакулев Г.П. Массовая коммуникация : западные теории и концепции. - М.: Аспект Пресс, 2010. - 192 с.
- [6] Массовые коммуникации и медиапланирование // <http://knowledge.allbest.ru/>
- [7] Назаров М.М. Массовая коммуникация в современном мире: методология анализа и практика исследований. - М.: Гардарики, 2013. – 462 с.